საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა ნაციონალური პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 500 მანეთი

№ 75
პარასკევი, ნოემბრის 18
1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეუღლე ადათი პეტრეს ასული, შვილები: ვიქტორ, კოლა, ვასილი, შალვა და ალექსანდრა, რძლები: მინადორიდა ნინო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს, ნოემბრის 19-ს გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ

დეკანოზ ნიკოლოზ ფრუიძისა

ქალოუბნის ეკლესიაში. წირვა დაიწყება დილის ათ საათზე წირვის შემდეგ იქნება პანაშვიდი. 87

ჩვენი ორიენტაცია

1.

პატარა ერისათვის თვით არსებობის საკითხს ყოველთვის დიდი ადგილი უჭირავს საერთო ცხოვრების მიმდინარეობაში. მაშინ, როდესაც დიდი და გიგანტიური ენერგიის მქონე ერები თუ სახელმწიფოები, ჰქმნიან, თანამედროვე ცხოვრების, ტონსა და შინაარს აძლევენ მთელი მსოფლიოს პოლიტიკურ ვითარებას და მისი სრული ბატონ პატრონნი არიან, პატარა ერები, ჩამორჩენილნი და უძლურნი ნაციები სავსებით გარიყულნი არიან ამ დიდი კონკურენციიდან. უფრო მეტი, იძინი დიდ ტანიან სახელმწიფოთა იმპერიალისტური ბატონობის ობიექტს წარმოადგენენ, მათ საექსპლოატაციო საგნად არიან შექმნილნი. ევროპისა და შორეული ქვეყნების იმპერიალისტური სახელმწიფოები თავიანთ ბატონობას ჩამორჩენილ ერთა დამონებაზედ აგებენ მათ ხარჯებზედ და მათი დოვლათით იკვებებიან. ასეთს პირობებში, რომელიც შექმნა ისტორიული ცხოვრების ვითარებამ და ფინანსიური კაპიტალის ბატონობამ, როცა მთელი მსოფლიო რამოდენიმე დიდ სახელმწიფოთა შორის არის გადაყოფილი და როცა კვლავ ხდება შეიარაღებული შეტაკება მსოფლიოს მაშტაბში კაცობრიობის ახალი გადაყოფისა და დატაცების შესახებ, პატარა ერთა მთელი ენერგია და ძალ ღონე თავიანთი ფიზიკური ცხოვრების შენარჩუნებისაკენ არის მიმართული. ეროვნული თვითარსებობის საკითხი აქ პირველ რიგში სდგას და მას, ჭეშმარიტად, გადამჭრელი მნიშვნელობის დარგბულება ენიჭება.

ისტორიულ ცხოვრების ვითარებამ შესცვალა ძველი პირობები, როცა მსოფლიოს კულტურულ და რეალურ ძალას პატარა ნაციები წარმოადგენდნენ, რომელნიც კაცობრიობას აყვავებისა და წინ მსვლელობის გზებს უჩვენებდნენ. ჩვენი ეპოქა დიდი სახელმწიფოების ბატონობას გამოხატავს და ისტორიულ ცხოვრების შეცვლასთან ერთად შეიცვალა პატარა ერთა როლიც საერთო ცხოვრების მსვლელობაში. დღეს ესე-რები მონურ მდგომარეობაში მყოფნი, გამოდიან როგორც მებრძოლნი დიდ სახელმწიფოთა ბატონობის წინააღმდეგ და თავისუფლებისათვის ბრძოლაში რევოლიუციონურს როლს თამაშობენ. დღეს გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ რევოლიუციონური მოძრაობის პროცესში და მისი კეთილად დაგვირგვინების საქმეში სად[illegible] მიმართულს ეროვნულ მომენტს [illegible] დიდი ღირებულების როლი აქვს [illegible] ლი. დღევანდელმა [illegible] მიკუთნებული რევოლიუციონურ[illegible] გამოქმ იცის რევოლიუციონური [illegible] ერები, რომელნიც გაცხარებით [illegible] იბრძვიან გაბატონებულ იმპერიალიზმის გასანადგურებლად. დღევანდელი ეროვნული მოძრაობის შინაარსი და მისი ძირითადი მომენტები ნაციათა სრულ უფლებიანობისაკენ, თანასწორობისაკენ არის მიმართული. ჩამორჩენილი ერები იბრძვიან კაცობრიობის ოჯახში ყოველგვარ ბატონობის მოსასპობად და ერთა სწორ უფლებიანობის დასამყარებლად. ცხოვრების მსვლელობამ ამ დასკვნამდი მიიყვანა პატარა და ჩამორჩენილი ერები. დღეს პატარა ერი ებრძვის დიდ ერს, დამონებული ერები—დამმონებულთ წართმეულ უფლებების მოსაპოვებლად და ვინ იტყვის, რომ ამ ბრძოლას კეთილშობილური მოტივები არ ასულდგმულებდნენ, უდიდესი ზნეობრივი პრინციპები არ ამშვენებდნენ!

ჩვენი ეპოქა არის დიდი ეროვნული მოძრაობისა და ეროვნული რევოლიუციების გამომხატველი და ეს მომენტები განსაკუთრებულს შინაარს აძლევენ თანამედროვე გარდამავალს ხანას.

ამ საერთო მოძრაობის პროცესში ქართველი ერიც თამაშობს თავის შესაფერის როლს და თავისი შინაური და საგარეო ძალთა განწყობილების მიხედვით ცდილობს დიდი რევოლიუციის მონაპოვარი მიზანშეწონილად დაამყნოს ეროვნულს ნიადაგზედ.

ჩვენი ერი ტიპიური კოლონიალური ქვეყანაა: ჩვენ საუკუნეთა განმავლობაში ტყვეს გვაძრობდა დიდი ორთავიანი რუსეთი. მან მოსპო საქართველოს პოლიტიკური არსებობის ყოველგვარი სახეობა და თავისი ბატონობის კვარცხლბეკი აქაც ამიერ-კავკასიაში შავი რუსეთი ჩვენ გვჩაგრავდა და გვცარცვავდა კულტურულად, ეკონომიურად, პოლიტიკურად. ასეთს პირობებში ჩვენი ერის ენერგია მპყრობელ ნაციის დამხობისაკენ იყო მიმართული, რომ გასაქანი მიეცა თავისი ეროვნული მისწრაფებებისათვის.

რევოლიუციონური მოძრაობის დიადმა ტალღამ რუსეთის ცარიზმი ძირს დასცა. რევოლიუციის პროცეში ხელოვნურად, ძალდატანებით შეკოწიწებული რუსეთი დაიშალა წვრილ ეროვნულ სახელმწიფოებად და ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე მოსახლე ერებმა დამოუკიდებლობის სახით გამოსახეს თავიანთი ეროვნული მიდრეკილება. ეროვნულმა ნებისყოფამ სუვერენულ სახელმწიფოს ფორმებში ჰპოვა თავისი კონკრეტული გამოხატულება.

მაგრამ კითხვა იბადება: შესაძლებელია კი პატარა ერთათვის სრული დამოუკიდებლობის შენარჩუნება თანამედროვე იმპერიალიზმის ხანაში? შესძლეს კი განთავისუფლებულმა ერებმა სავსებით შენარჩუნება იმისი, რაც მოიპოვეს დიდი რევოლიუციის პროცესში?

რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლებულ ერთა დღევანდელმა ვითარებამ დაგვანახა, რომ კაპიტალისტურს ბატონობის ხანაში, როცა იმპერიალისტური სახელმწიფონი საექსპლოატაციო ერთეულების ძიებაში არიან, ასეთი დამოუკიდებლობის სავსებით დაცვა შეუძლებელი შეიქმნა. რუსეთის მონობისაგან განთავისუფლებული ერები სავსებით მოხვდნენ გამარჯვებულ ანტანტის გველების ორბიტრაში და მისი ბრმა იარაღი შეიქმნენ. რუსეთის ბატონობიდან ანტანტის მონობაში, აი ამ ერთა ისტორიული ბედი. მართალია დღევანდელი მათი მდგომარეობა ფორმალურად განსხვავდება მათ წინანდელ მდგომარეობისაგან, მაგრამ შინაარ[illegible] ერთი და იგივე რჩება. დღეს [illegible] მათ დამოუკიდებლობა აქვსთ, [illegible] მაგრამ ეს მათი დამოუკიდებლო[illegible] სავსებით ანტანტის ხელშია და [illegible] იმ გვარად ამოძრავებს მათ, როგორ[illegible] ამას მისი (ანტანტის) ინტერესები მოითხოვს. გამარჯვებულმა მოკავშირეებმა რუსეთიდან განთავისუფლებული ერები „ნახევრად კოლონიალურ" ერთა მდგომარეობაში ჩააგდო. ჩვენ ვიცით თანამედროვე ეპოქის მიერ ასეთი ტიპი კოლონიალური ურთიერთობისა (სპარსეთი, ოსმალეთი, ჩინეთი) სადაც ფორმალურად დამოუკიდებელი სახელმწიფოები ფაქტიურად გადაყოფილნი არიან დიდ სახელმწიფოთა გავლენის სფეროებად, და სადაც ეს ერები მათ სრულს ფინანსიურს, ეკონომიურსა და პოლიტიკურს დამოკიდებულებაში არიან. ამგვარად რუსეთის ყოფილი ერები ერთის გველეშაპის პირიდან უფრო „კულტურულ" გველეშაპის პირში ჩავარდნენ. დამოკიდებულობის გზით გამარჯვებული ანტანტის დამოკიდებულებამდე მივიდნენ. პოლიტიკურად და ეკონომიურად ანტანტამ დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობის მიხედვით საკმაოდ ისარგებლა როგორც ბალტიკის სახელმწიფოებით, პოლონეთით და ფინეთით, ისე ამიერკავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკებით. დაწყებული ფინეთიდან და გათავებული ადრიატიკისა და შავი ზღვის სანაპიროებით მობინადრე ძველი და ახლად აღმოცენებული რესპუბლიკებით საკმაოდ ისარგებლა ანტანტამ და ისე მოიმართა ამ რესპუბლიკების გეზი, როგორც ამას მოითხოვდა მისი ინტერესები.

რას გვეუბნება ყველა ეს ფაქტები? ნუ თუ ისინი „დამოუკიდებელ" რესპუბლიკის სასარგებლოდ ლაპარაკობენ? ცხადია რომ არა. მაგრამ ეს ფაქტები ერთს გარკვეულს რამეს ამბობს, რომ დღევანდელს კაპიტალისტურსა და იმპერიალისტურს ეპოქაში ნამდვილ დამოუკიდებელ ერთა შესახებ ლაპარაკი ქიმერაა, რომ იმპერიალიზმი ვერ ითმენს წვრილ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას და ყოველის გზით სცდილობს დაუმორჩილოს იგი თავის ბატონობას. ტყუილად ხომ არ ამბობდა ინგლისის იმპერიალიზმის კლასიკოსი წარმომადგენელი ჩემბერლენი, რომ ხანა პატარა სახელმწიფოებისა წავიდა, მომავალი დიდ ტანიან ერთეულებს ეკუთვნით და ამ პატარების ინტერესი მოითხოვს მიეტმასნოს რომელიმე დიდ სახელმწიფოს. პოლიტიკურის ენით ეს გარკვევით ნიშნავდა პატარა სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის დაკარგვით უნდა დაიმონოს დიდს სახელმწიფოს. ამ იმპერიალისტურს შეხედულებას სავსებით იმეორებდნენ გერმანიის მემარჯვენე სოციალისტები ჰენრიხ კუნოვის პირით, მისი შეხედულებით ეკონომიურს განვითარებას პატარა ერები სრულს მოსპობამდე მიყავს. ასეთია იმპერიალისტური ფილოსოფია გამყიდველ სოციალისტებისა. ყოველივე ამას ერთს გარკვეულს ლოღიკურს დასკვნამდე მივყევართ: სანამ არსებობს თანამედროვე ფინანსიური კაპიტალიზმი და მისი უმაღლესი ბატონობის გამომხატველი იმპერიალიზმი, პატარა ერთა დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი შეუძლებელია. ამ ერთა ნათლად გაგებული ინტერესები აუცილებლად მოითხოვენ თანამედროვე სოციალური წყობილების ძირიანად მოსპობას და დიდ სახელმწიფოთა იმპერიალისტური ბატონობის განადგურებას. ეს შესაძლებელია მხოლოდ ხაერთაშორისო სოციალური რევოლიუციის განვითარებით. ერთა სრული განთავისუფლება თანამედროვე კაპიტალიზმის ხანაში შეუძლებელია. ეროვნული თავისუფლების მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტური რევოლიუციის გზით.

დღევანდელს პირობებში ეროვნული თავისუფლება სავსებით გადაწნულია სოციალური რევოლიუციის ვითარებასთან. გზა ეროვნული თავისუფლებისა სოციალისტური მოძრაობის გზით მიექანება. ვინც სხვა გზით წავა, მას ახალი „ეროვნული მონობა მოელის, ეს არის სასტიკი სინამდვილე ჩვენი სასტიკი ეპოქის.

სიმ. ხუნდაძე.

საით მივდ[illegible]ვართ?

შაბათს, 12 [illegible] თვეს ამხ. სერგო ამაღლობელ[illegible] [illegible] მემარცხენე სოც.-ფედ. ახალ[illegible] [illegible]ბდათა კავშირის დავალებით წაიკითხა მოხსენება შემდეგ თემაზე: „საქართველოს პრობლემა და ჩვენი პოლიტიკა". მოხსენებას დაესწრო დიდძალი საზოგადოება.

მომხსენებელმა გაარკვია ჩვენი თვალსაზრისი საქართველოს პრობლემის შესახებ, ლენინის ის ტენდენცია, საითკენაც დღეს ისწრაფის თანამედროვე რევოლიუციონური მოძრაობა. შეეხო საქართველოს გადამჭრელ ფაქტორებს და ყოველივე ეს განიხილა გარეშე პოლიტიკური ანტაგონიზმისა პარტიათა შორის. მომხსენებელმა სრული ობიექტიობა გამოიჩინა და საკითხის გადაჭრა პოლიტიკური მოსაზრებას დაუმორჩილა. მან გვერდი აუარა ყველა იმ მომენტებს, რომელიც უშედეგო პარტიულ კინკლაობას გამოიწვევდა. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ყველა პარტიათა წარმომადგენლებმა. ღამის 1-ლ საათზე სხდომა დაიხურა და კამათის გაგრძელება გადაიდო ორშაბათ სადამოსთვის.

ორშაბათს, საღამოს 1-ლი აუდიტორია გაჭედილია. კამათი გრძელდება. მთელი პლეადა მემარჯვენე ფედერალისტებისა, როგორც შაბათს საღამოს ისე ეხლა იბრძვის. უსუსური არგუმენტაცია, უსუსური რეპლიკები აი რა ახასიათებს განსაკუთრებით მემარჯვენე ფედერალისტებს. მენშევიკების წარმომადგენელი შედარებით უფრო ძლიერია, რომელიც თავის სიტყვაში მენშევიკურ არგუმენტაციას სადემაგოგიო სიტყვებს უმატებს და ფრაზეოლოგიით სცდილობს ტაშის ცემის გამოწვევას. კიდევ ჩაწერილია 28 ოპონენტი, ღამის 11 საათის შემდეგ წინადადება კამათი შესწყდეს. ჩვენი წინადადებაა მიეცეს სიტყვა პარტიათა წარმომადგენლებს. მენშევიკებს და ფედერალისტებს შემოაქვთ წინადადება, რომ მხოლოდ მათ მიეცეთ სიტყვა. „ხმის უმრავლესობით" ჩვენი სამართლიანი მოთხოვნილება უარყოფილია. სიტყვებს ამბობენ მენშევიკების და მემარჯვენე ფედერალისტების წარმომადგენლები, მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე გამოვიდნენ ოპონენტებად და რადგან ახალი ძალები შემოაკლდათ, თითო ოპონენტს ორჯელ უშვებდნენ.

უკანასკნელი სიტყვა მომხსენებელს ეკუთვნის. დარბაზში ჩოჩქოლია. მენშევიკები და მემარჯვენე ფედერალისტები დარბაზიდან გარბიან, თავმჯდომარე ზარს რეკს. საზოგადოების ნაწილი წამსვლელთ გასძახის: „სირცხვილია, სირცხვილი, სილაჩრე" მაგრამ, როდის ჰქონდათ მენშევიკებს და მემარჯვენე ფედერალისტებს სირცხვილი, ნამუსი, გამბედაობა, რომ ეხლა გამოიჩინდნენ!

დარბაზში ისევ წესრიგი მყარდება. აუდიტორიის უკანა რიგს გარდა, ყველა სკამები დაკავებულია.

მომხსენებელი თავის შესავალში აღნიშნავს, რომ იგი მოვიდა მოხსენებით არა ტაშისათვის, არა აგიტაციისათვის, არამედ მისთვის, რომ ქართველი სტუდენტობას ერთგვარი აკადემიური აზრი გამოეთქვათ საქართველოს საკითხის შესახებ, იმ საკითხის, რომელიც ქვაკუთხედი უნდა იყოს ყოველი ქართველის აზროვნების, მისი მოქმედების და მოღვაწეობის.

იგი დასძენს, რომ ჩვენი ტრაგედია იმაში კი არ არის, რომ ვინმე შემოვა საქართველოში, რომ ერთი პარტიის ხელისუფლებას მეორე პარტიის ხელისუფლება შესცვლის, რომ საქართველოს ცხოვრებას წინადუდგება უცხო ელემენტის ინტერესები, მიმართული საქართველოს სუვერენობის წინააღმდეგ, არამედ მთელი ჩვენი ტრაგედია იმაშია, რომ ჩვენში არსებულმა პოლიტიკურმა პარტიებმა ვერ შესძლეს თავისი პარტიული დროშის დახრა ეროვნული დროშის წინაამდეგ. მომხსენებელი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ქართველი სტუდენტობის ერთი ნაწილის დღევანდელი საქციელი სამწუხაროა, დამაფიქრებელია და შიშობს, რომ ასეთი [illegible] საქციელი კარგი ნიშანი ვერ [illegible] იყოს ჩვენი მომავალი ინტ[illegible]ლიგენციისა. მომხსენებლის პა[illegible] ოპონენტებისადმი მკაცრ[illegible], მოკლე და სხარტულია.

საპასუხო სიტყვას ტაშით აჯილდოვებს საზოგადოება.

რა გამოარკვია მოხსენების პროცესმა?

სრული სიკოტრე მენშევიკებისა და მემარჯვენე ფედერალისტებისა. ამ სიკოტრის ლოღიკური გამოსავალი ლაჩრულად გაქცევა—როდესაც მათ მოელოდათ ჯეროვანი პასუხის გაცემა. მაგრამ ტყუილა ცდილობენ მენშევიკები და მათი უფასო დამატება მემარჯვენე ფედერალისტები, ჩვენი სიტყვის გაქცევას და ყალბ ინფორმაციით კვებას პროვინციიდან ახლად ჩამოსულ ამხანაგებისას, ჩვენ შევეცდებით ყოველი საშუალებით პასუხი გავსცეთ მათ პროვოკაციულს გამოსვლებს და ამით ქართველი ახალგაზრდობისთვის ნათელ ვყოთ იმ ულირს გამოსვლებს, რასაც მიმართავდენ მენშევიკები და მათი ყურმოჭრილი ყმები მემარჯვენე ფედერალისტები. საით მივდივართ? საით გინდათ წაიყვანოთ ქართველი ახალგაზრდობა? დიდხნობით ვერ გამაგრდებით ამ უღირსი საშუალებებით.

ალ. ბაზუკიანი.

ახალი ამბები

— ამხ. არუსტამოვი თავის მოხსენებაში საბინაო საკითხის სიტყვის დასასრულში ამბობს: ყველა სახლები ქალაქში შემჭიდრებულია. უნდა ვიპოვნოთ სხვა საშუალებანი საბინაო კრიზისის გადასაწყვეტად. ერთი ასეთ ზომთაგანია ტფილისის განტვირთვა პარაზიტულ ელემენტებისაგან, რომელნიც არ არიან დაკავშირებული ტფილისთან. გამორკვეულმა გვიჩვენა შემდეგი ციფრები მოსახლეთა აღწერის მიხედვით: 42,000 მუშები და მსახურნი არიან,—ოჯახობით ერთად 200 ათასი სული. 50,000 ჯარის კაცი—დანარჩენი 250,300 სული აღრიცხვას არ ეძებენ; ვინ არიან ისინი და რას წარმოადგენენ. მათი დიდი უმეტესობა ქალაქიდან გადასახლებულთა კანდიდატები არიან. საბინაო განყოფილება, ისე როგორც საგანგებონი უნდა მოიხსნას. საბინაო საკითხი უნდა განაგოს საბინაო კომიტეტმა და რაიონულმა. მუშათა წინაშე მორიგი ამოცანაა სდგას, რომ ხელთიგდონ ეს კომიტეტები.

— **რეფერატი სახ. უნივერსიტეტში.** დღეს ნოემბრის 18 ს, საღ. 7 ს. შ. ასათიანი წაიკითხავს რეფერატს „სული და სხეული" დასწრება შეუძლია ყველას. დასასრულ გაიმართება კამათი.

— **ექიმთა კონფერენცია.** ოთხშაბათს, ნოემბრის 16-ს მიხეილის საავადმყოფოში შესდგა ექიმთა კონფერენცია, სადაც ექიმებმა ს. ყიფშიძემ, ს. საყვარელიძემ და ახმეტელმა წაიკითხეს მეტად ყურადსაღები მოხსენებები. მოხსენებების შემდეგ სწარმოებდა კამათი. ასეთი კონფერენციები მოხდება თვეში ერთხელ.

— **ზუგდიდი.** ქ. ზუგდიდში განთავისუფლებულია ჯარების ნაწილებისაგან ყველა სკოლები, და სწარმოებს სისტემატიური მეცადინეობა.

— **დუშეთის მაზრაში** რევოლიუციის დღესასწაული ბრწყინვალედ ჩატარდა.

— **ბათომის გლეხთა ყრილობა.** 7 ნოემბერს ბათომში გაიხსნა აჭარისტანის ფუხარა გლეხთა ყრილობა. მოსმენილ იქმნა, სხვათა შორის მოხსენება აჭარისტანის ავტონომიურ მდგომარეობაზე და გამოტანილ იქმნა რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენება აჭარის ავტონომიის შესახებ, ჩვენ, აჭარის მშრომელთა ხალხის დელეგატები ვუძღვნით უღრმეს მადლობას საქართველოს, პროლეტარიატს და მშრომელ გლეხ-კაცობას, რომლებმაც გვარგუნეს უფლება და საშუალება ჩვენი შინაური საქმეთა ჩვენივე ხელით მოგვარებისა და კულტურული, სულიერი თვით განვითარებისა. საქართველოს მშრომელ ხალხთან ძმური კავშირით და ხე[illegible]ხელ ჩაკიდებული და [illegible] მის მფარველობას ქვეშ, [illegible] მშრომელი ხალხი დაამარცხებ[illegible] თავიანთ მყვლეფელებს და მო[illegible]ვებულ ავტონომიას მოიხმარს [illegible] კეთილდღეობით და ინტერესების დასაცავად, მასთან ერთად ყრილობა ესალმება საბჭოთა რუსეთის მშრომელთა რომელთაც იდევს თავზე მთელი ქვეყნის მშრომელთა განთავისუფლება".

— ფოთის პორტში ჩაუშვეს წყალში შეკეთებული გემი „ცხენის წყალი" რომელიც ეკუთვნება ფოთის პორტს.

— ის პირნი, რომელნიც დაინტერესებულია საქართველოში პროლეტ-კულტით უნდა ჩაეწერონ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი პროლეტ-კულტის კომიტეტის წარმომადგენელთან ამხ. ქურიძესთან მთავარ პოლიტ. განათლებაში ლორის-მელიქოვის ქ. № 5.

— **საღამო.** სამშაბათს, ნოემბრის 22 სახ. კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება პოეტი გიონ საგანელის საღამო.

— **მუშათა ფაკულტეტის გახსნა.** ტფ. სახ. პოლ. ინსტიტუტში გაიხსნა მუშათა ფაკულტეტი.

— **მადნის გაზიდვა.** ნოემბრის 13-ს შორაპნის სადგურიდან და ფოთიდან გაგზავნილ იქნა 40 ვაგონი მადანი.

— **გემების მოსვლა.** ბათომის ნავთსადგურში შემოვიდა გემი „მარია" და „ნინა" კონსტანტინეპოლიდან სხვა და სხვა 35,000 ფუთი ტვირთით. სოხუმიდან „ტესანი" და „სტეკიდა" დატვირთული თამბაქოთი, 7 ტონი. ფოთში კონსტანტინოპოლიდან მოვიდა „ინტერნაციონალ." 30 ათასი ფუთი მარილით დატვირთული.

პარტიაში

მთავარი კომიტეტის მდივნის ნახვა შეიძლება ყოველ დღე დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათამდე, გაზ. „ტრიბუნის" რედაქციაში.

პარტიული სამკითხველო. პარტიის ცენტრალურ ბიუროში გაიხსნა სამკითხველო. სამკითხველოში ყოველ დღიურად არის რუსეთისა და ჩვენი ქვეყნის ყველა პერიოდული გამოცემანი. ამ დღეებში დაიწყება წიგნების გაცემაც. სამკითხველო ღიაა საღ. 5—9 საათამდე. სამკითხველომ შეიძინა ახლად გამოცემული პოლიტიკური წიგნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეშ[illegible]ნე სადილ. ფედერალისტთა ახალ[illegible]ზრდათა დრ. მთავარი კავშირი ალ[illegible] ამხანაგების საყურადღებოთ, რომ[illegible]ვერთა რიგზე სტრაქცია. სწარმოებს ცე[illegible] ლური ბიჭის ახალგაზრდათა ო[illegible]ში ყოველ დღე 9—2 საათამდე.

ახალგაზრ. დრ. კავშირი.

რუსეთი

მოსკოვი. 16 ნოემბერი. ოქტომბერში დონბასის მაზრაში ამოღებულია 32 მილიონი ფუთი ნახშირი. ურალზე ოქტომბერში ამოღებულია ნახევარ მილიონზე მეტი ვინემ სექტემბერში.

მოსკოვი. 16 ნოემბერი. ცარინსკის ოლქში ხშირდება სიმშილით სიკვდილი. ზადგურის ვოლოსტში სიმშილით მკვდარია 4400 კაცი.

მოსკოვი. 15 ნოემბერი. წარმოება სუჯენის მადაროებისა ციმბირში ერთობ განვითარდა ოქტომბრის თვის განმავლობაში ამოღებულია 994000 ფ. ნახშირი.

მოსკოვი. 15 ნოემბერი. სლუცკის მაზრაში მინსკის გუბერნიაში ენერგიული მუშაობა სწარმოებს დანგრეული ადგილების აღსადგენათ. აღდგენილია ხიდების 80 პროც.

მოსკოვი. 15 ტვერის ქარხნებში კალუგის გუბერნიაში წარმოებას აორკეცებენ. მუშაობის ნორმამ მიაღწია ომის წინანდელის 85 პროც.

მოსკოვი. 10 ნოემბერი. პეტროგრადში შესდგა სპეციალური თათბირი შესახებ მეცნიერების მოღვაწეთა უზრუნველყოფისა. დადგენილია გამოყოფილ იქმნას პროფესორებისათვის და საზოგადოთ მეცნიერების მოღვაწეთათვის 2500 აკადემიური ულუფა. ეს ულუფა უნდა ეძლეოდეს მეცნიერებს ყოველთვიურად არა უგვიანეს 5 რიცხვისა. ასეთივე გადაწყვეტილება მიიღეს ამ საკითხში მოსკოვის თათბირზე.

ოდესა. 14 ნოემბერი. ოდესაში გამოცხადებულია საალყო წესები, ქუჩის მოძრაობა განსაზღრულ საათამდე გრძელდება.

მოსკოვი. 10 ნოემბერი. რეველიდან რუსეთში ჩამოვიდა ჯგუფი ამერიკელ ინჟენრებისა წევრნი ამერიკელი სასოფლო სამეურნეო მანქანების საზოგადოებისა, ამ საზოგადოების აზრით აქვს გახსნას კონცესიურ დასაწყისზე თავისი მუშაობა სამხრეთ რუსეთის ქარხნებში.

უცხოეთი

კონსტანტინოპოლი ნოემბრის 7 გაზეთი „პოის დე სჯურს“ მოჰყავს საუბარი კერენსკისა და პრაგის გაზეთ „ჩარს“ თანამშრომელთა შორის. კერენსკიმ განაცხადა, რომ მან სამწუხაროთ, შეიტყო რომ მომავალ თათბირზე ესერების აზრით ძირეულ პოლიტიკურ კურსის შეცვლის საკითხში ბოლშევიკებთან და საბჭოთა ხელის უფლებასთან შეთანხმება. კერენსკის აზრით ლენინი და მისი ამხანაგები ქვეყნის გამგებლობისათვის გამოუდეგარი არიან და არც შეეძლებათ ქვეყნის პოლიტიკური მოთხოვნილებანი. მთელი მათი ტაქტიკა იმაში მდგომარეობს რომ რეფორმების და ახალი კურსის სახით შეინარჩუნონ კომუნისტური პარტიის ხელისუფლება. თანამშრომლის შეკითხვაზე რუსეთის მომავალზე კერენსკიმ უპასუხა რომ მან ეს არ იცის, ვინაიდან მას ვერ წარმოუდგენია თუ როგორი პოლიტიკური და სოციალური ფორმაში ჩამოისხმება ახალი სოფლის დემოკრატია და რომელი პოლიტიკური პარტია იქნება მისი წარმომადგენელი.

ჩიჩერინის ნოტა.

მოსკოვი ნოემბრის 16 ბრიტანეთის მთავრობამ მიმართა რუსეთის მთავრობას ლონდონში კრასინის ნოტით, რომელშიაც აცხადებს, რომ რუსეთის მთავრობამ სწორ გზაზე შესდგა ფეხი, რომელიც მიჰყავს ის საერთო თანამშრომლობამდე სხვა ქვეყნებთან. ბრიტანეთის მთავრობა ეკითხება შესახებ 1914 წ. ვალდებულეის ცნობისა საბჭოთა მთავრობის აზრს.

კერძოთ შესახებ მუნიციპალური და რკინის გზის სესხისა.—ბრიტანეთის ნოტის საპასუხოთ ს. ს. ს. რესპუბლიკის საგარეო საქმეთა კომისარიატი აღნიშნავს, რომ „საბჭოთა მთავრობამ კმაყოფილებით მიიღო ბრიტანეთის მთავრობის ნოტა საგარეო სესხის საკითხის შესახებ, ბრიტანეთის მთავრობა რომელიც მოითხოვს საკითხის გამორკვევას ფინანსური სდგომის პრობლემის საერთაშორისო გადაჭრის გზაზე. საბჭოთა მთავრობა შეუძლებლად სთვლის ასეთი რთულ საკითხის გადაწყვეტას რადიო ტელეგრაფის გაცვლის გზით. ყველა რთული საკითხები გამოსარკვევად გადაცემული უნდა იქმნას კონფერენციისათვის საკითხი რუსეთის ვალებისა წარმოადგენს ნაწილობრივ რუსეთის აღდგენის საერთო პრობლემას. ანგლიის ნოტში კითხვათა წარმატებით გადასაწყვეტ პირობას წარმოადგენს ურთიერთისადმი ნდობა, რომლისათვის უნდა ბოლო მოეღოს რუსეთის სისტემატიურად გამორიცხვას საერთაშორისო თათბირიდან. დასასრულ ნოტა აღნიშნავს, რომ ერთად ერთი მიზანს საბჭოთა მთავრობისას წარმოადგენს ის, რომ გაკვალული იქმნას გზა სამეურნეო თანამშრომლობისა და საერთო მუშაობისა წარმოებისა და გაცვლა გამოცვლის დარგში. ბრიანის მოწერილობას საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი შესახებ ჩიჩერინის ნოტის საპასუხოთ კომენტარიას უკეთებენ საფრანგეთის პოლიტიკური წრეები. საფრანგეთს ეხლა შესაძლებლად მიაჩნია აწარმოოს მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასთან, თუ, რომ წარმოდგენილი იქნება სერიოზული გარანტია მიღებული ვალდებულების ასრულებისათვის.

მოსკოვი. 13 ნოემბერი. გერმანიის რადიოს ცნობით მეამბოხეებმა მთაშავეთში ხელთ იგდეს ხელისუფლება და მთაშავეთში საბჭოთა მთავრობა გამოაცხადეს.

ნაუენი. ჩემბერლენმა განაცხადა, რომ მას როგორც უნიონისტების პარტიის ლიდერს არ ძალუძს თავისი აზრის გამომჟღავნება ირლანდიის საკითხში. მიუხედავად ამისა ის მაინც დარწმუნებულია, რომ საპატიო შეთანხმება მიხწეული იქნება.

ტფილისი. სპარსეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა ს. ს. ს. რესპუბლიკაში იუწყება: „ეხსანულა-ხანის მიერ ენზელის და ქუჩიკ-ხანის მიერ რეშტის აღების შესახებ ცნობები არაა სწორი, ვინაიდან მიღებულ ცნობებს თანახმად, რომელიც ხელთაა დიპლომატიურ წარმომადგენლობის, ეხსანულახანი თავის მიმდევრებით 40 კაცით, იმყოფება ამ ჟამად ბაქოში და ფიქრობს მოსკოვში წასვლას, ასე რომ მას არ შეეძლო რეშტის აღება. ხოლო რაც შეეხება ქუჩიკ-ხანს, მისი ადგილმყოფობა გამოურკვეველია, თანამოაზრე ხალლი-კურბანი კი გადავიდა მთავრობის მხარეზე. მთავრობის მიერ გამოცხადებულია ამნისტია იმ პირთა, რომლებიც გამოდიოდნენ მის წინააღმდეგ და საბოლოოდ მოხსნილია გილიანის საკითხი. ახლა რეშტში და ენზელში მოქმედობს მთავრობის ადმინისტრაცია გენერალ გუბერნატორი სადოლ-მულკის მეთაურობით, ენზელი-რეშტის გზა გახსნილია და მუშაობს ფოსტა და ტელეგრაფი“.

გრიგოლ ყიფშიძე

(ნეკროლოგი)

ნოემბრის 19-ს ქა[illegible]თლში (ფრონის ხეობა) საკუთარ მამულში გარდაიცვალა ცნობილი ლიტერატორი გრიგოლ ყიფშიძე. არ ვიცით რად, ადგილობრივმა გაზეთებმა აღნიშნეს ის ისტორიკოსის სახელით.

უნდა განვაცხადოთ, რომ მას ქართულ ისტორიაში სრულიადაც არ უმუშავნია, მხოლოდ მის ძმას, განსვენებულს საშა ყიფშიძეს, ა. ფრონელს აქვს ისეთი სერიოზული ნაწარმოები, როგორც: „მთიულეთი 1804 წელს“ „კახეთის ამბოხება“ „მთას არწივი შამილი“ „ალექსანდრე ბატონიშვილი“ „სოლომონ ლეონიძე“, „მესხეთი“ და მრავალი გაბნეული ნაწარმოები ქართულ ჟურნალ გაზეთებში, რის შეკრება და გამოცემა დიდ საჭიროებას წარმოადგენს. ჩვენმა გაზეთებმა კი ეს ორი პიროვნება ვერ გაარჩიეს.

გიგა ყიფშიძე, როგორც ეძახდენ მეგობრები ოთხმოციან წლებში გამოვიდა პირველად „იმედის“ ნაროდნიკებში, სადაც მუშაობდნენ, შაქრო გულისაშვილი ს. ჭრელაშვილი (სონა) ა. დავითაშვილი და სხვანი. აქ დაიბეჭდა მისი მოთხრობა „სამი დღე თოვლ ქვეშ“ რამაც მის მოწინააღმდეგე ბანაკში სასტიკი კრიტიკა გამოიწვია. ამავე დროს ეკუთვნის მისი თარგმანი პოლ ბურჟეს რომანისა „ცოდვა სიყვარულისა“. ამ თარგმანმა მას მოუხვეჭა სახელი ქართული ენის მცოდნეობის მაშინდელ მწერლობაში და შემდეგაც ძველი მწერლების ბანაკში მისი ავტორიტეტი ძირს არ დაწეულა.

გრიგოლი შემდეგ მუშაობდა „ივერიაში“ ილია ჭავჭავაძესთან, და ჟურნასენელთან სწავლობს სტილს. ილია მადლ იძულებული იყო მისთვის, როგორც ქართულ ენაზე ზედმიწევნით მცოდინარისთვის, სათანადო ანგარიში გაეწია და ხშირად გაზეთს მას მართვას აბარებდა.

ამ როგად გაზ. „ივერია“ გრიგოლის ხელში იყო და საზოგადოებაში ეხლაც ხშირად იგონებენ იმ საკვირველ მუშაობას, რომელსაც იმ გულგრილობაში სწევდა ეს ორი კაცი.

უსათუოდ გრიგოლზე დიდი გავლენა მოახდინა ილიას ჰიგანტურმა ფიგურამ რასაც შემდეგ გ. ყიფშიძე სიყვარულით იხსენიებს იმ თავის ვრცელ მონოგრაფიაში ილიას შესახებ, რომელიც მოთავსებულია გ. გედევანიშვილის მიერ გამოცემულ ძვირფას გამოცემაში.

ერთხან 1894—6 წ. წ. იყო მდივანი და რედაქტორიც ცნობილ ჟურნალ „მოამბის“ აქ მოათავსა მან სენკევიჩის მრავალ მოთხრობებთან „ცეცხლითა და მახვილითა“ აგრეთვე პოლ ბურჟესი, ანდრე კორნელის და მრ. სხვ. მასვე ეკუთვნის რამდენიმე პიესის თარგმნა აღსანიშნავია მისი „სიტყვიერების თეორიაც“ გამოცემული კათალიკოს კირიონთან ერთად. ეს სახელმძღვანელო უკვე რამდენიმეჯერ გამოიცა და დღესაც საგულისხმიერო სახმარისია ქართული სკოლისათვის,

გრ. ყიფშიძე მრავალი წელი უძღვებოდა ქართულ ჟურნალისტიკის და ეს მეტად დასაფასებელია ჩვენ მიერ.

ბოლო წლებში ის მსახურობდა ქართულ სასოფლო-სამეურნეო ბანკში.

წლევანდელ თებერვალში, მისი ოჯახი მთლად გაძარცვეს ტფილისში და ის იძულებული გახდა გადასახლებულიყო სოფლად (ფრონის ხეობა) და იქ მეურნეობისათვის მიეყო ხელი. ამ სტრიქონების დამწერს შეხვდა ამ ერთი თვის წინად და კერძო ლაპარაკში გადასცა, რომ ის შეუდგა მემუარების წერას 80-იან წლებიდან დღემდე გარდა ამისა ის ამზადებდა „ლასსალს“ „ენგელსს“ და „პარიზის კომმუნას“. ამ საჩქარო საგაზეთო წერილში ჩვენ ვერ ავღნუსხავთ მისი მოღვაწეობა. საჭიროა მისმა თანამოკალმეებმა და მეგობრებმა: თ. სახოკიამ პ. გოთუამ, არტურ ლაისმა, ორანმა ს. მგალობლიშვილმა, ზ. ჭიჭინაძემ და ს. გლახაშვილმა ითავონ ეს საქმე.

მეგობარი.

საგლეხეთიდან

IV.

ღალები.

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარის განკარგულებით ღალის გადება მოსპობილია, გარდა ქვრივ-ობლებისა, მოხუცთა ავადმყოფთა და წითელ არმიელთა.

მაგრამ აგს, ა. ერქომაიშვილის წიგნში „ნატურალური გადასახადი საქართველოში“ გადასახადთა სიაში მაინც არის დატოვებული მუხლი ღალის ამღებთათვის.

ბოლოს მოსპობილია თუ არა ღალა? როგორღაც გამოურკვეველია.

ჯერ აკრძალულიც არ იყო, რომ გლეხები ისედაც არ ხალისობდენ ღალას მიცემას. თავის-თავად სადალო მიწები სულ უმნიშვნელოა, თავადაზნაურთა გამოძევების შემდეგ, ეხლა უმეტეს ნაწილად სადალოთ აძლევენ მიწებს ისევ გაჭირვებული გლეხები. ესენი არიან ან უხარკომეჩონი ან ქვრივობლები, რომელნიც თვითონ ვერ ამუშავებენ, ან ქალაქის მუშები, რომლებიც კიდევ გააჩნიათ ერთი-ორი დღის მიწა სოფლად და ამით იტრიალებს [illegible] ქალაქის გაჭირვებაში. სულს ქალ[illegible]ალით აძლევენ მიწებს ეს ხალხი [illegible] საყველფურად არა მოჯამაგირებით, [illegible] ჭირ-ჭირამდე გაჭირვებით, მათ [illegible] ბებით, სხვათა საყველფუროდ. ირამდე გაჭირვებით. მათ არა აქვთ საშუალება მოვლისა და იძულებული ხდებიან სხვას მისცენ სადალოთ, რომ ამით მცირეოდენი სარჩო მაინც აიღონ.

ღალის ამღებათ ჩვენ ისევ წარმოდგენილი გვყავს თავადი და ღალის მიმცემათ კი—გლეხი. მაგრამ წარმოიდგინეთ ეხლა დროება სულ სხვანაირად დატრიალდა: ღალის ამღები ეხლა ბევრი უფრო საწყალია, ვიდრე ღალის მიმცემი. დეკრეტი გამოცემული არის იმ მიზნით, რომ საწყალ ხალხს მიეცეს რამე შეღავათი. მაგრამ ნამდვილად კი იგი უფრო ხელსაყრელი გამოდგა შეძლებულისთვის ვიდრე ღატაკისთვის.

მაშ ღალის საკითხშიაც სულ ახალი დაფიქრება და აწონ-დაწონა არის საჭირო, რომ საწყალი ხალხი უფრო დაჩაგრული არ გამოვიდეს იმათ ხელთაგან, ვინც მოვლენილა მათ შეღავათის მომნიჭედ.

V.

ნატურალური გადასახადი.

პირველად ამ „გადასახადის გაგონებაზე სულ ელდა-მელდათი მოუვიდათ ჩვენ გლეხებს, ისეთი წარმოდგენა იყო, თითქოს ყველაფერს შუაზედ გაუყოფს მთავრობა.

ორი თვეზე მეტს ჰქონდა ყოველგვარ ჭორისა გასავალი, მაგრამ ადგილობრივი „მუშაკნი“ ბუზსაც არ იფრენდენ, რომ მისულიყვნენ გლეხთან, აეხსნათ მთელი ვითარება საქმისა, რაოდენობა გადასახადისა და ამით დაემშვიდებინათ მუდამ იჭვით მაცქერალი გული ჩვენი გლეხისა.

გადასახადი თავის თავად არ არის ზომას გადაცილებული და არც სამძიმო, ერთი კია: მინიმუმი იმ ქონების, რომელიც ექვემდებარება გადასახადს, ისეთია აღებული, რომ ვერც-ერთი საწყალი ოჯახი მას ვერ დააღწევს თავსა.

ნუთუ წარმოგიდგენიათ ისეთი სოფლის ოჯახი, სადაც სულზე დღიურის ორი მესამედი არა ჰქონდეთ? მაგრამ განა ეს საკმარისია წლითი-წლობამდის ადამიანის გამოსაკვებავად?

მერე და შემოსავლის მინიმუმათ ისეთია აღებული, რასაც წრევანდელი მოსავლის მაქსიმუმიც კი ვერ გაუსწორდება.

და ეს გადასახადი კი მგონი უფრო ამ წლისათვის არის შემუშავებული და არა მომავლისათვის.

როგორც ვსთქვით, იგი მაინც ზომიერია ჩვენი გლეხისთვის.

მხოლოდ, ვაი, თუ აკრეფაზედ უფრო მეტი დაიხარჯოს, ვიდრე ღირს თვით ეს გადასახადი.

უამრავ სიძნელეს წააწყდებიან მისი ამკრეფავნი და ვაი, თუ ვერც გადალახონ, რადგან უმეტეს ნაწილად გამოუცდელნი არიან და წინ და წინ ვერ ითვალისწინებენ ყველა იმ დაბრკოლებათ, რომელთა დაბარცხებაც აუცილებელია, რომ საქმე საკეთილოდ დაბოლოვდეს. ხორბლეულობის აკრეფა უფრო ადვილია და ასე თუ ისე უკლებლივაც, მხოლოდ იგი შეიძლება ჩაიბაროს მთავრობამ.

რაც შეეხება ხილეულობა და ბოსტნეულობას, იგი ვერ ასცილდება გაფუჭებასა და გაფლანგვას.

ეს შეიძლება გლეხსაც დააკლდეს და ვერც მთავრობამ ირგოს დიდი რამ.

ამიტომ უკეთესი იქნებოდა მოსურნეთათვის ეს დარგი შეეცვლილიყო ან ფულით, ან პირნახულით.

ეს დიდი შეღავათი იქნება ამკრეფისათვის და სასარგებლო — მთავრობისათვის.

VI მოუსავლობა.

მოხუცთა ხსოვნაშიაც კი არ არის აღბეჭდილი ისეთი სასტიკი და მოუსავლიანი წელიწადი, როგორიც იყო წრეულს. ძალიან მცირედმა ნაწილმა თუ აიღო თესლზე თესლი. უმეტესობამ მხოლოდ თესლი დაიბრუნა უკან. მაგრამ არის უმცირესობა, ვისაც ისე მოუცდა, რომ თესლიც ვერ აიღო და ფეხზე მდგომივე მოაძოვებინა საქონელს.

ზემო ქართლს ხომ საქართველოს ბეღელს უწოდებენ, მაგრამ წრეულს ბეღელი კი არა ყუთიც აღარ არის.

კალოობიდგანვე, იმის შიშით, ვაი თუ თესლადაც არ გვეყოსო, პური საჭმელად ველარ გაუმეტებია გლეხ-კაცს. ჯერ ქერს დააწყვენ ხარჯათა და სიმინდის შემოსვლიდან კიდევ—ჭადსა. იშვიათია ისეთი ოჯახი, სადაც ჩვეულებრივად აცხობდენ პურს. თუ ვისმეს კიდევ აბადია ცოტაოდენი, იმას ინახავენ მუნიასავით, რომ ან კაი დღეზე დასჭირდეთ, ან ჭირში და ან ლხინში. რამდენჯერ მინახავს ბავშვები მშიერი მობეზრებულნი რომ სტირიან პურისთვის.

მაგრამ არის ერთი ანდაზა: იმერელი სჩიოდა. მჭადმა შვილები დამიხოცაო. კიდევ გაქვსო? და—აღარაო.—მაშ და ხოცვას ამის შემდეგა ნახავო!

ჩვენ გლეხ იმასაც ასე მოუვა. იანვრის [illegible]თ ნახევარს თუ მაინც გასწყვა სი[illegible]რჩო, კიდევ კაი ბიჭობაა. სიმინდის ს[illegible]შველოს ამ უბედურობიდან რა უნდა, [illegible]არი დიდი ოჯახობას, არავინ იცის. შე[illegible]ით შესჩერეშვილიც კი სულის კაწ[illegible] როგორმე ბია მომავალს. თვითონ როს[illegible] მაიმყოფინოს წელს მოსავალი, იმის[illegible]ინც ეშინიათ: გაზაფხულზე რომ დატრიალდება სიმშილი. ვაი, თუ გაჩნდეს ტიფიოზა, ძარცვა-გლეჯა, ყაჩაღობა და სხვა,

მართლა ასეთი მძიმე ხიფათი, რომელსაც შველა არსაით უჩანს, ალბად, კარგა ხანია აღარ მოსდგომია ჩვენს ქვეყანას.

ბევრს დარჩა საპკრე მიწები დაუთესავი, თუ გაზაფხულზე მოახერხეს, პურის მაგიერ ან ქერი უნდა დასთესონ ან სიმინდი ისევ.

მიუხედავათ პირნახულის ასეთი ნაკლებობისა ბაზარზე მაინც ფასები—[illegible]ლიან არის დაწეული. [illegible] წინად პური გადიოდა [illegible] თუმნად. სიმინდი და ქერი ათი ათასში. დღეს პური ძლივს იყიდება ათი ათასში. და ქერი და სიმინდი კი—ხუთი ათასში.

მაგრამ ეს სულ უბრალოთ აიხსნება.

კალოობის წინედ ფული ბევრი იყო, მაგრამ პური აღარ იყო გასაყიდი და გლეხკაცი იჯდა ცარიელი ერთისაგანაც და მეორისაგანაც. კალოობის შემდეგ უცებ შეეწყრათ ერთდროული გადასახადი. ბევრი ჰქონდათ თუ ცოტა, პური ისევ პირნახულით უნდა გაეცვათ და აი, ყველას გამოაქვს ბაზარზე, თუ კი რამე აბადია, რომ გაისტუმროს აუცილებელი ვალი.

ამასთანავე შემოდგომაა: გათხოვება ეხლაა, ქორწილი, წირვა, ჭირი და ლხინი.

ჩვენი კაცი რევკომებში ჯვრისწერით ვერ დაკმაყოფილდება. წელში უნდა გაწყდეს, ყელთამდის ვალში ჩაიძიროს და ასეთ დღეს ან უნდა დაალოცვინოს, ან უნდა დააწყევლინოს თავისი თავი ყველა მეზობელსა და მოკეთეს. ამნაირ შემთხვევაში მხოლოდ ქალაქში შეიძლება იოლად წავიდეს კაცი. სოფელში კი ყოვლად შეუძლებელია. ყველაფერი ეს დავიდარაბა ისევ პირნახულს ეკიდება ბარგათ, მეტი გზა არ არის, და ამითი აიხსნება, რომ მიუხედავად ასეთი მოუსავლობისა და სიმშილისა, ბაზარზე ამდენი პირნახული გამოდის, რომ იგი სჭარბობს მყიდველსა.

ამავე დროს კი ამ პირნახულის სახით ჩვენი გლეხ-კაცი ჰყიდის თავის იანვრისა და თებერვლის ლუკმას.

რა ჰქნას? ვალს მოხდა უნდაო.

ბოლოს სათესლე, კომისიაზეც უნდა ითქვას რამე. ბოლოს ვამბობ, რადგან ისიც ეგე ნაგვიანევათ გამოჩნდა ცხოვრების ცაზე.

იმის მაგიერ, რომ კალოობიდანვე შესდგომოდნენ თესვის თადარიგს, ე დალოცვილი შვილებმა მხოლოდ თესვისავე დროს დაიწყეს საქმიანობა. ამიტომ ნურას უკაცრავათ, თუ იმათი ნაშრომ ნაღვაწი ნაგვიანევათ დარჩება ჩვენი ხალხისთვის.

მერეც და ნაგვიანევიც რომ არ იყვეს. იმათი ნუკეში—ეს წვიმის წვეთია უზომო ზღვაში: მაგალითად მთელ გორის მაზრაზე, თუ არა ვსცდები, გადებული უნდა იყვეს 5.000 ფ. სათესლე. პური. მარტო გომის რაიონში კი სრულიად უთესლო ხალხს სჭირდება 8.000 ფუთი პური. ამავე გომის რაიონში კი გადეწულია [illegible] რვაასი ფუთი. ისიც ვერ დარიგდება, თორემ ჰნახავთ: როგორც გავიგე ყველა მსურველი გორი უნდა წავიდეს მის მისაღებად.

ჩვენი გლეხკაცი კი მაგის გულისთვის გორამდი არ წავა: ჩიტი ბდღვნად არა ღირდაო, დევნა მეტი იყოო.

დათ. მეტრეველი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.

დავკარგე სახელმწ. პოლიტექ. ინსტიტუტ. გ. ც. მ. მოწმობა № 2459, ივანე რუდოვსკის სახ. ჩაითვალოს გაუქმებულად. 89

დავკარგე მოწმობა მიღებული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, სტუდენტ. კონსტანტინე ვასილის ძე ქოქოსაძისა მე-4 სემესტრის (სამათ. საბუნებ. დარგისა). [illegible]თხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად. 88

პოლიტექნიკუ[illegible]ი ინსტიტუტის სტუდენ-
კონსტანტინე ბურ[illegible]თილაძე 5-ს
ვაცხადებ, რომ ქ. ონში ნოემბრის [illegible]
დავკარგე სტუდენტობის მოწმობა № 648 და კვიტანცია ფულის გადახდის შესახებ რაც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად.

მათემატიკაში
(არითმეტიკა-ალგებრა, გეომეტრია და ტრიგონომეტრიაში)
გერმანულ, ფრანგულ ენებში ვიძლევი გაკვეთილებს და ვამზადებ მოწაფეებს. მისამართი: პლეხანოვის და ალექსის ქ. კუთხე № 25/5 (იკითხეთ კანდიტერში). ნახვა და მიღება 3—6 ს. 82

გიმნაზიის მასწავლებელი
ამზადებს მოწაფეებს
სპეც. ქართული, საზოგადო ისტორია
მისამართი: იკითხეთ „ტრიბუნის“ რედაქციაში.